



## საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით გამართული შიდა ჩემპიონატების რეგულაციები COVID-19 პანდემიის პირობებში ვალდებულებელი COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის (შემდგომი მითითებები ეფუძნება ჯანმოს, საქართველოს მთავრობის, ჯანდაცვისა და სპორტის სამინისტროების და სრკ სამედიცინო სამსახურის დადგენილებებსა და მეთოდურ რეკომენდაციებს)

### სარაგბო ბაზის ვალდებულებები

სარაგბო ბაზა ვალდებულია უზრუნველყოს COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციული ზომები, რის განსახორციელებლადაც სავალდებულოა, რომ:

- ყველა დახურული სივრცის შესასვლელში განათავსოს:
  - დეზობარიერი
  - სანიტარაიზერი სპირტის შემცველი სადეზინფექციო ხსნარით.

და უზრუნველყოს მათი შესაბამისი გამოყენება სივრცეში ყოველი შესვლა-გამოსვლისას.

- პირბადის სავალდებულო ტარების შემახსენებელი და კოვიდ ინფექციის პრევენციის შემახსენებელი ბროშურები. ( თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული კედელზე ყველა ოთახში) , ხელსაბანთან მოთავსებული უნდა იყოს ანტიბაქტერიული საპონი და ხელის დაბანის ინსტრუქცია.
- გამოყოს იზოლაციის ადგილი (კოვიდ ოთახი) იმ პირის ინდივიდუალური მართვისთვის, რომელიც შესაძლებელია შეუძლოდ გახდეს (COVID-19-ზე ექვით) თამაშის და ვარჯიშის დღეებში. ასეთ შემთხვევის არსებობისას აცნობოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს ნომერზე - 112.

### ვარჯიშების დროს:

- გააკონტროლოს ღონისძიების ადგილზე ყველა შემომსვლელისთვის პირბადის ტარება.
- განახორციელოს ღონისძიების ადგილზე ყოველი შემსვლელის აღრიცხვის ოქმი (დანართი #1).
- ღონისძიებაზე დაუშვოს მხოლოდ სპეციალური ბეიჯის მქონე პირების შესვლა



## მოთამაშეთა კეთილდღეობა ჩვენი ნომერ პირველი პრიორიტეტია

- დოკუმენტაცია შეინახოს 2 კვირის მანძილზე.
- ვარჯიშის შემდეგ განახორციელოს გამოყენებული სივრცეების და ზედაპირების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით.
- იმ შემთხვევაში, თუ გუნდი არ ემორჩილება სარაგბო ბაზის რეგულაციებს COVID 19-ის პირობებში ვარჯიშის განხორციელების შესახებ, ბაზის დირექტორმა გუნდს უნდა მისცეს გაფრთხილება და ამის შესახებ წერილობით აცნობოს სრკ სამედიცინო სამსახურს. თუკი, გუნდი ორი ამგვარი გაფრთხილების მიუხედავად მესამედაც არ დაემორჩილა აღნიშნულ რეგულაციებს, ბაზა იტოვებს უფლებას აუკრძალოს გუნდს ბაზით სარგებლობა.

### თამაშის დღეს:

- გააკონტროლოს ღონისძიების ადგილზე ყველა შემომსვლელისათვის პირბადის ტარება.
- განახორციელოს ღონისძიების ადგილზე ყოველი შემსვლელის აღრიცხვის ოქმი (დანართი #1).
- ღონისძიებაზე დაუშვას მხოლოდ სპეციალური ბეიჯის მქონე პირები.
- გასახდელში დაუშვას, მხოლოდ გუნდის განაცხადში მყოფი მოთამაშეების და მენეჯმენტის წევრები.
- ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია შეინახოს 2 კვირის მანძილზე.
- თამაშის შედეგ განხორციელდეს სივრცისა და ზედაპირების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით.

### არ დართოს ღონისძიების ადგილზე შესვლის უფლება:

- პირს, რომელსაც დადასტურებული აქვს COVID 19 ინფექცია
- პირს, რომელსაც არ აქვს სპეციალური დასწრების ბეიჯი

### მონაწილე გუნდების ვალდებულებები

მონაწილე გუნდის შემადგენელმა ყოველმა პირმა (მოთამაშეებმა, მწვრთნელებმა, დამხმარე პერსონალმა) უნდა იზრუნოს COVID 19 ინფექციის პრევენციაზე. ამის განსახორციელებლად ყოველ გუნდი ვალდებულია:

- დაექვემდებაროს ჩემპიონატის ყველა რეგულაციას COVID 19 ინფექციის პრევენციასთან მიმართებაში.
- ჰყავდეს დანიშნული საკუთარი COVID-მენეჯერი, რომელსაც უნდა ჰქონდეს გავლილი მსოფლიო რაგბის ონლაინ მოდულები : “COVID 19 - თამაშში დაბრუნების გაცნობიერება ადმინისტრატორებისთვის“ და “COVID 19 -



## მოთამაშეთა კეთილდღეობა ჩვენი ნომერ პირველი პრიორიტეტია

თამაშში დაბრუნების გაცნობიერება მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის“ და აგრეთვე, სრკ სამედიცინო სამსახურის მიერ ჩატარებული გადამზადება COVID-მენეჯერებისთვის.

- მოსთხოვოს გუნდის შემადგენელ ყოველ პირს (მოთამაშეებს, მწვრთნელებს, დამხმარე პერსონალს), რომ გაიაროს მსოფლიო რაგბის ონლაინ მოდული : “COVID 19 - თამაშში დაბრუნების გაცნობიერება მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის“.
- გუნდი ვალდებულია წარმოადგინოს განაცხადში მყოფი ყველა პირის ტესტის პასუხი ან ვაქცინაციის ბარათი.

### ვარჯიშების დროს:

- დაექვემდებაროს სარაგბო ბაზის რეგულაციებს COVID 19 პირობებში ვარჯიშის შესახებ.
- განახორციელოს სავარჯიშო სივრცეში ყველა შემსვლელის აღრიცხვა მოცემული ოქმის მიხედვით (დანართ #1)
- აღნიშნული დოკუმენტაცია შეინახოს 2 კვირის მანძილზე.

### თამაშის დღეს:

- სათამაშო სივრცეში შეიყვანოს მხოლოდ თამაშის გასამართად აუცილებელი პირები (დანართი #2)
- სათამაშო სივრცეში არ შეიყვანოს გუნდის შემადგენელი არცერთი ის პირი, რომელსაც დადასტურებული აქვს COVID 19 ან დაინფიცირებული პირის პირდაპირი კონტაქტია.
- თამაშის კომისარს ჩააბაროს სათანადოდ შევსებული ცნობა COVID 19 ინფექციის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ (დანართი #3), რომელიც ხელმოწერილი იქნება გუნდის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ.
- წარადგინონ და გადააგზავნონ სრკ სამედიცინო სამსახურის ელექტრონულ ფოსტაზე [COVID@RUGBY.GE](mailto:COVID@RUGBY.GE)-ზე არავაკცინირებული მოთამაშეების ტესტის უარყოფითი პასუხები (PCR არაუგვიანეს 72 საათისა და სწრაფი ტესტი არაუგვიანეს 24 საათისა)

### მორაგბის ინფიცირების შემთხვევაში:

- მორაგბისთვის COVID 19 ინფექციის შემთხვევაში, უზრუნველყოს მოთამაშის იზოლაცია და დადასტურებული ტესტის პასუხი მიაწოდოს სრკ სამედიცინო სამსახურს.



## მატჩის კომისრის ვალდებულებები

- დაექვემდებაროს ჩემპიონატის ყველა რეგულაციას COVID 19 ინფექციის პრევენციის მიმართებაში.
- გააკონტროლოს მოედანზე მყოფი არამოთამაშე და მარჯაფაში მყოფი პირები, რათა მათ დაიცვან პირბადის ტარების წესები.
- არ გასცეს თამაშის დაწყების ნებართვა, თუკი თამაშის დასაწყისისთვის ადგილზე არ იმყოფება სასწრაფო დახმარების მანქანა, ხოლო აღნიშნულის პრევენციისთვის თამაშამდე 30 წუთით ადრე მოახდინოს რეაგირება და დაუკავშირდეს სრკ სამედიცინო სამსახურს.
- მოთამაშე გუნდებს მოსთხოვოს სათანადოდ შევსებული ცნობა COVID 19 ინფექციის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იქნება გუნდის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ.
- არ გასცეს თამაშის დაწყების ნებართვა, თუ რომელიმე გუნდი არ წარმოადგენს აღნიშნულ ცნობას
- არ დაუშვას არავაკცინირებული მოთამაშე, რომელსაც არ ექნება COVID 19-ის ტესტის უარყოფითი პასუხი (PCR არაუგვიანეს 72 საათისა და სწრაფი ტესტი არაუგვიანეს 24 საათისა).
- თამაშის შემდეგ აღნიშნული ცნობები ჩააბაროს საშეჯიბრო კომიტეტს.



ღონისძიების ადგილზე შემსვლელთა აღრიცხვის ოქმი

სარაგბო ბაზა: \_\_\_\_\_

ჩემპიონატი: \_\_\_\_\_

#	თარიღი	დრო	სახელი და გვარი	ტელეფონი
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
17				
18				
19				
20				
21				
22				
23				
24				
25				
26				
27				
28				
29				
30				



თამაშის გასამართად აუცილებელი პირების ჩამონათვალი

პერსონალი	რაოდენობა
<b>მასპინძელი გუნდი</b>	
მოთამაშე	23
თანმხლები სამედიცინო პერსონალი	2
ტექნიკური ნაწილი (წყლის მიმტანი)	2
მწვრთნელი (მთავარი, ასისტენტი, ფიზმომზადება)	3
მენეჯერი	1
<b>ჯამი</b>	<b>31</b>
<b>სტუმარი გუნდი</b>	
მოთამაშე	23
თანმხლები სამედიცინო პერსონალი	2
ტექნიკური ნაწილი (წყლის მიმტანი)	2
მწვრთნელი (მთავარი, ასისტენტი, ფიზმომზადება)	3
მენეჯერი	1
<b>ჯამი</b>	<b>31</b>
<b>თამაშის მომსახურე პერსონალი</b>	
სასწრაფო დახმარების ბრიგადა	3
თამაშის დღის ექიმი	1
დაცვა	6
მსაჯები	4
თამაშის კომისარი	1
თამაშის სტატისტიკოსი	1
მეზურთეები და მათი ხელმძღვანელი	6+1
ადმინისტრაცია	8
კომენტატორი	2
გარე გადაადგილებადი ტელესადგური	2
ტელევიზიის ოპერატორები	6
დიდი ეკრანის და სტადიონის მაცნე	2
<b>ჯამი</b>	<b>43</b>



კოვიდ 19-ის კითხვარი

გთხოვთ, შეავსოთ ქვემოთ მოცემული ფორმა	დიახ	არა
განაცხადში შესული მოთამაშეებიდან არც ერთი არ იყო კონტაქტში (<2მ მინიმუმ 10 წუთი) პირთან, ვისაც დაუდასტურდა Covid 19 ბოლო 12 დღის განმავლობაში		
განაცხადში შესული მოთამაშეებიდან არც ერთი არ არის Covid 19-ით ინფიცირებულები?		
გუნდის სამედიცინო პერსონალი იცავდა თუ არა Covid 19-ის პროტოკოლით გათვალისწინებულ ყველა პრევენციულ ღონისძიებას?		
გთხოვთ, მიუთითოთ განაცხადში შესული მოთამაშეებიდან, რომელიმეს ხომ არ აღენიშნება ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები		
1) ხველა		
2) ციება/ჟრიალი		
3) სუნთქვის გამძლეობა ან აჩქარება		
4) გემოსა და ყნოსვის დაკარგვა		
5) ყელის ტკივილი		
6) სურდო		
7) დიარეა		
8) უჩვეულო დაღლილობა		
9) ტკივილი მკერდის არეში		
10) კონიუქტივტი		
თქვენი გუნდის განაცხადში შესულ ყველა არავაკცინირებულ წევრსაქვს თუ არა 72 საათით ადრე ჩატარებული Covid 19-ის PCR ან 24 საათით ადრე სწრაფი ტესტი?		
ჩატარებული PCR ტესტები არის თუ არა უარყოფითი?		
გადააგზავნეთ თუ არა Covid 19-ის ტესტების პასუხები სამედიცინო დეპარტამენტში? Email – Covid@rugby.ge		



## მოთამაშეთა კეთილდღეობა ჩვენი ნომერ პირველი პრიორიტეტია

ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის სიმართლე

სახელი და გვარი	
თანამდებობა	
ჩემპიონატი	
თარიღი	
ხელმოწერა	